F75 ~3188

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი •

კეთილი იყოს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა კავშირის 47-ე წელი № 199 (13583) | ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს მხიარული გოგო-ბიჭები დღეს მიუსხდებიან მერხებს და მოისმენენ პირველ გაკვეთილს.
სურათზე: თბილისის 39-ე, 43-ე და 47-ე საშუალო სკოლის პირველკლასელები.

ფოტო ბ. გოგოხიანის.

სკოლისაკენ!

ახლა მთელი ხალხის გულისყური სკოლებისაკენ არის მიმართული. სკოლებისაკენ დევს ახლა გზა ჩვენი შვილებისა. ზოგიერთი მათგანი პირველად დგას ამ გზას, ზოგიერთიც — მეათე, ან მოთვლის კიდევ — შუალედს.

ამადელვებელია გზა შინიდან სკოლისაკენ, ახლოდან — შესაცნობი სამყაროსაკენ. ახლო სამყარო — ეს ხომ ოჯახი, დედა და მამა, დები და ძმები... ორიენტული და შესაცნობი კი ის გარემო, რომელშიც დღეიდან მთელი სასწავლო წლის მანძილზე იტრიალებს ბავშვი.

სამყაროზე რომ ვლაპარაკობთ, მხოლოდ გარემო წრეს — მოსწავლეებსა და მასწავლებლებს როდი ვგულისხმობთ, ეს არის ცოდნის სამყარო. კაცობრობის მიერ დაგროვებული ცოდნის ფასულ სამყაროში გაბედული კოლექტიურად შესვლა იწყება დღეს. ბუნების ათასობით საიდუმლოებას იეხდება ფარდა, საზოგადოებათმცოდნეობის ათასობით სასწავლ საკითხს შემოეცლება ბურუსი.

ნამდვილი ლაშქრობა იწყება ცოდნის სამყაროში.

შრომა იქნება დიდი და დაძაბული, ძაბული შრომა ისაა, ვინც სწავლობს ან ისიც, ვინც ასწავლის.

პროგრამ მოსწავლისა და მასწავლებლის ომას მუდამ თან ახლავს ხალხის შრომა. კარგი და ნათელი შენობები სკოლა, ლაბორატორიები და მოხერხებული ინვენტარი, წიგნები და რვეულები, გათბობა ან განათება, და ყველაფერი, რაც სწავლისა და სწავლებისათვის აუცილებელია, ხალხის შრომით კეთდება.

ბატივი უნდა ვცეთ ამ შრომას. ხალხსა და ხალხელმწიფოს ამაგს სკოლამ კარგი მუშაობით უნდა უპასუხოს.

სწორედ ამიტომ ხდება ტრადიციად, რომ ხასწავლო წლის დაწყების წინ მოვიგონოთ სკოლას მის წინაშე დასმული ფული და კეთილშობილური ამოცანები.

სკოლის ამოცანები განსაზღვრულია ადრე ხუთწლიანი გეგმით, რაც პარტიის XXIII ყრილობის მიერ არის მიღებული. ეწოდებული სასწავლო წელი პირველია ამ ხუთწლედში, რამაც ღირსეულად უნდა მისცეს სკოლის შემდგომ ეტაპზე მოღვაწეობას. ეს ის სასწავლო წელია, რომელიც დასაბამს აძლევს ყოველთაო ხაშუალო განათლებას, რის ამოცანებიც ხუთწლედის ბოლო წლისათვის უნდა დამთავრდეს.

განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ ბოლოსაგანმანათლებელო სკოლები. მათ ველ რიგში უნდა დავეხმაროთ, რათა ამ მიალწიონ, რომ სასკოლო ასაკის ბავშვებიც ყველა ბავშვი სწავლობდეს ველი განათლების დამთავრებამდე, ა ყველა ბავშვი, სწავლა რომ დაიწ ანგარიმობდეს მას შემდეგ კლასში ასწავლამდე. არც ერთი ბავშვი სკოლიდან გასული, არც ერთი ბავშვი სკოლის გარეთ! — ეს უნდა იყოს სკოლის, ზოგადოების დევიზი.

ბაშინ როდესაც სახელმწიფო დიდძალ ინებებს ხარჯავს სახალხო განათლებისათვის, შეუნელებლად ზრუნავს სკოლისა ბის საჭიროებისათვის, მოსწავლისა და ასწავლებლისათვის, როცა პარტიისა და ავრობის დიად წინასწარდასახულობანი განხორციელების შედეგად წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე, — ძნელია შეეგუო ბავშვს სკოლის გარეთ დარჩენას, სკოლიდან ბავშვის გასვლას. სამწუხაროდ, ამ ლისასწაულის დროსაც საჭირო ხდება ლაპარაკოთ იმ არასასიამოვნო ფაქტზე, რომ სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის ბავშვთა ერთი ნაწილის სკოლის გარეთ დარჩენას კიდევ ვხედებით ხოფლადაც და ქალაქადაც.

მოდით, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი ნათელი სასკოლო ცხოვრების ფონზე არ იყოს ეს ჩრდილი!

ხუთწლედის ამოცანები რომ შეგასრულოთ, სერიოზულად უნდა სრულვყოთ ახალხო განათლების სისტემა ყველა რგოლში, განვავითაროთ პედაგოგიური კვლევა, განვამტკიცოთ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა და ამის საფუძველზე შეუნელებლად ვაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

როგორც ამას წინათ გაზეთი „პრავდა“ წერდა, საბჭოთა სკოლა უნდა ვითარდებოდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებელო, შრომითი, პოლიტექნიკური. მიღებული იქნება ღონისძიებები იმისათვის, რომ სტაბილიზებულ და განმტკიცებულ იქნას მისი მუშაობა ხანგრძლივი დროისათვის.

მასწავლებლის მთელი ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს ერთი მიმართულებით — შეაიარაღოს მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, ჩაუნერგოს მათ მატერიალისტური მხოფლმხედველობა, მაღალი კომუნისტური ზნეობა, მოამზადოს ახალგაზრდობა ცხოვრებისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის. აი რა დიდი და სერიოზული ამოცანების წინაშე დგას მასწავლებელი — სწავლა-აღზრდის ცენტრალური ფიგურა სკოლაში. ეს ამოცანები უფრო პასუხსაგები ხდება ამიერიდან, სწავლების ერთი წლით შემცირებასთან დაკავშირებით.

ამ დიდ საქმეში მასწავლებლის თანაშემწეები, შემოქმედებითი მეგობრები და მხარდამჭერები უნდა იყონ ოჯახი, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი საზოგადოებრიობა. ოჯახი და სკოლა ბავშვთა აღზრდით ერთნაირად დაინტერესებული ორი მხარეა და რაც უფრო მტკიცე და შემოქმედებითი იქნება ამ ორი მხარის კავშირი, მით უფრო მაღალ საფეხურზე ავა სწავლა-აღზრდის დონე სკოლაში.

ახლა აშვიათია საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ახალი ხასწავლო წლისათვის მზადებაში. ეს ძირითადად განეკუთვნება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის სფეროს. და ხალხი, სკოლა მათ ხმამაღლა უცხადებენ მადლობას. მაგრამ ამით როდი წყდება შენებელთა საზრუნავი. მათი ხელი და მორალური მხარდაჭერა სკოლას მთელი სასწავლო წლის მანძილზე სჭირდება. საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტები, საფაბრიკო კომიტეტები, კომკავშირული ორგანიზაციები სისტემურად უნდა განიდიდნენ თავიანთი კოლექტივების წევრთა — მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების შვილთა სწავლისა და ქცევის ყოველ „წვრილმანს“. ისინი მხარში უნდა ედგნენ სკოლას იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, რასაც წარმოადგენს მოზარდი თაობის აღზრდა მაღალ საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური პარტიის დიადი საქმისათვის უანგარო თავდადების სულისკვეთებით.

ყველა ამ პრინციპზე აგრეთვე სტუდენტი ახალგაზრდობის ის ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის გადაუდებელი ამოცანაა. ძლიერი, ცოდნით ნაწრთობი ახალგაზრდობის ახალი ნაკადი მოვიდა წელს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. ბოლომდე უნდა შევუნარჩუნოთ მას ეს კეთილშობილური და შეუპოვარი სწრაფვა მეცნიერებათა დაუფლებისაკენ, ამასთან ყოველნაირად უნდა ვზრუნავდეთ ამ ახალი ნაკადის და, საერთოდ, მთელი სტუდენტი ახალგაზრდობის მორალურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის.

პარტია, მთავრობა, ხალხი, მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო დიდ ამაგს სდებენ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს.

ეს ამაგი უნდა გავამართლოთ.

დაე შემომდგარი ახალი სასწავლო წელიც იმის ნათელი დემონსტრაცია იყოს, თუ სწავლისა და ყოფაქცევის რა მაღალი მაჩვენებლებით უპასუხებს ჩვენი ახალგაზრდობა სამშობლოს ზრუნვას!

ჩვენი სკოლა კვლავაც მაღალ დონეზე იქნება ახალგაზრდობის აღზრდაში.

ახალ-ახალი წარმატებებისათვის სწავლასა და სწავლებაში, ძვირფასო მეგობრებო!

საღამური თქვენდა!

ჩვენი ბრწყინვალე მომავლის, ჩვენი ახალგაზრდობის მუდამ მიმღოცველი ვიუავი და ვარ.

მე მწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გადამეტებით შეგვცვლის ჩვენ და ჩადგება ჩვენი სამშობლოს ამყვავებელთა რიგებში.

გულწრფელად გილოცავთ თქვენ, ვინც დღეს ხწავლას იწყებთ, გისურვებთ გედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ყოველ თქვენს პატიოსან საქმეში გამარჯვებას.

აკადემიკოსი კ. ერისთავი,
სოციალისტური შრომის გმირი.

დღეს მთელი ხალხის დღესასწაულია, რადგან პირველი სექტემბრის ზარის წკრიალი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მახლობელია ყოველი ადამიანისათვის.

ფართოდ გაიღო ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების კარი. გზა დავულოცოთ სტუდენტ ახალგაზრდობას ცოდნის დიდ სამყაროში სამოგზაუროდ.

დაე ახალგაზრდობა კვლავაც ამართლებდეს პარტიისა და მთავრობის, ხალხის, სამშობლოს ზრუნვასა და ამაგს.

სწავლით, შრომით, ცოდნის გამოყენებით ვემსახუროთ ხალხს!

აკადემიკოსი ი. ვეკუა,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ამომდგომა სწავლის დაწყების პერიოდია. ჩემი აზრით, ეს მარტო ბარაქისა და მოსავლის პერიოდი კი არ უნდა იყოს, არამედ ჩვენი ახალგაზრდობის შრომის სიხარულის დაწყების პერიოდიც.

მე ამით იმის თქმა მინდა, რომ პირველ სექტემბერს ჩვენი ახალგაზრდობა უსათუოდ დიდი ზეიმით ხვდება სასკოლო აკადემიური წლის დაწყებას. მოზრდილი მოსწავლეები თუ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა საზაფხულო დასვენების შემდგომ, სულიერი და ფიზიკური ძალის დაგროვების შემდგომ ხელახლად ებმის შრომის ფერხულში, ხოლო სულ აგერ, პირველად სკოლაში მიმსვლელი ნორჩი მოსწავლე ეზიარება ცოდნის წყაროს.

ვუსურვოთ ყველა მათ დიდი და დიდი შრომითი მიღწევები.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი.

მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები

დამთავრდა მასწავლებელთა აგვისტოს ტრადიციული თათბირები. რესპუბლიკის აგდაგოგთა 65-ათასიანი არმია შეიკრიბა თავის დიდ თათბირზე, რათა განეხილა მოსწავლეთა თაობის აღზრდისა და სწავლების ხაარსები საკითხები.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც პედაგოგებმა განიხილეს თავიანთ თათბირებზე, იყო „სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და შემდგომი სრულყოფის ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელება, ბრძოლა ორწლიანობის წინააღმდეგ, მოსწავლეთა განთვსვის შემცირება, სწავლების ხარისხის ამაღლება, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება. განხილეს აგრეთვე ახლახან დამთავრებული გამოცდების შედეგები. თათბირის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ფაქტები, როცა ნაკლებ მოთხოვნებს უყენებენ მოსწავლეებს მათი ცოდნის შეფასების დროს.

სექციურ სხდომებზე განიხილეს ახალი პროგრამები ყველა სასწავლო დისციპლინაში. სკოლებისა და მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით მოისმინეს რესპუბლიკის საუკეთესო მასწავლებელთა მოხსენებანი. თათბირების მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს: ფიზიკის მასწავლებლებმა ა. შანავამ (თბილისის 36-ე საშუალო სკოლა), დ. მესხმა (თბილისის 77-ე საშუალო სკოლა), თბილისის 57-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ა. ჯაფარიძემ, თბილისის 52-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ვ. ჩიქვეტსკაიამ, თბილისის 25-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგმა მ. ნალბანდიანმა, თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მათემატიკის პედაგოგმა ნ. დუმბაძემ და სხვებმა.

(საქდესი).

ნორჩ პაჭრიოტთა სკოლები

მალე სამხედრო სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმეშფყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ სასწავლო ორგანიზაციებში, სამოქალაქო ავიაციის სასწავლებლებსა და ქვეგანაყოფებში, სამდინარო, საზღვაო, საავიაციო პორტებსა და რაზმებში შეიქმნება ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სკოლები.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა ამ სკოლების სანიმუშო დებულება. ასეთ სკოლებში იმეცადინებენ ზოგად-საგანმანათლებელ სკოლების უფროსი კლასების. აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სასწავლებელთა მოსწავლეები. სწავლება უფასოა. სამხედრო-პატრიოტული სკოლების მიზანია მოამზადონ ახალგაზრდობა სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად, გამოაწრთონ მორალურად და ფიზიკურად, შეასწავლონ სამხედრო საქმის კონკრეტული ჩვევები. მოამზადონ სპორტულ-ტექნიკური კომპლექსის „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ ნორმატივების ჩასაბარებლად. მეცადინეობის საზოგადოებრივ საწყისებზე უხელმძღვანელებენ თადარიგის და გადამდგარი ოფიცრები, სამხედრო მოსამსახურეები, სამხედრო სასწავლებელთა კურსანტები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ინსტრუქტორები და მასწავლებლები.

თითოეულ სკოლას ექნება თავისი ფერადი და ტანსაცმლის ფორმა. მეცადინეობა დაიწყება სექტემბერში და დამთავრდება ივნისში. სწავლების კურსი გათვალისწინებულია ერთი-სამი წლისათვის, მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ სწავლისაგან თავისუფალ დროს.

ზაფხულობით მოსწავლეები გაემგზავრებიან სამხედრო-სპორტულ ბანაკებში.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო გარდამავალი წითელი დროშა საუკეთესო სკოლისათვის. დროშა მიენიჭება ყოველ წელს გამარჯვების დღესასწაულის წინ.

(საკდესის კორ.).

ოსეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ახალგაზრდობის შრომითი მოწყობა ყველა მშრომელის საქმეა

30 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შეიგიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელშიც განიხილა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიათა მუშაობა. თათბირზე მონაწილეობდნენ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის იმ კომისიათა თავმჯდომარეები და წევრები, რომლებიც შეიქმნა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან და რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, მინისტრები, საქართველოს უწყებათა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ ნ. გ. გიმელაურმა.

— მიმდინარე წლის მარტში, — თქვა მომხსენებელმა, — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა საწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში „სამუშაოდ ადგილზე“ ნორმატივების ჩასაბარებლად. მეცადინეობის საზოგადოებრივ საწყისებზე უხელმძღვანელებენ ადგილობრივ ინსტრუქტორებ, ინჟინერ-ტექნიკოსებ, ექიმ-ფიზიკოსებ, ექიმ-ფიზიოლოგებ, ექიმ-ფიზიოთერაპევტებ, ექიმ-ფიზიკურ აღზრდ, ექიმ-ფიზიკურ აღზრ, ექიმ-ფიზიკურ აღზ, ექიმ-ფიზიკურ, ექიმ-ფიზ, ექიმ-ფ, ექიმ, ექ, ე, ...

...

...

##

მონრეალის გამოფენა

1967 წლის აპრილში კანადის უდიდეს ქალაქ მონრეალში გაიხსნება მსოფლიო გამოფენა — „ექსპო-67“. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს 80 სახელმწიფო — ევროპის, ამერიკის, აზიის თითქმის ყველა ქვეყანა, აფრიკის მთელი რიგი სახელმწიფოები და ავსტრალია.

კანადის მთავრობამ გამოფენის მოწყობა დაუკავშირა კანადის 100 წლისთავის დღესასწაულს.

„ექსპო-67“-ის ორგანიზატორებმა საშუალება მისცეს მონაწილე ქვეყნებს თავიანთი ეროვნული პავილიონები თვალსაჩინოდ წარმოსახონ გამოფენის დევიზი — „დედამიწა და ადამიანები“. საბჭოთა კავშირი ერთერთი უდიდესი ექსპონენტი იქნება.

საკავშირო კორესპონდენტმა სთხოვა სსრ კავშირის სექციის გენერალურ კომისარს, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ბ. ა. ბორისოვს ეპასუხა მკითხველთათვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვაზე.

როგორი იქნება ჩვენი პავილიონი?

საბჭოთა პავილიონის პროექტი შეიმუშავა ავტორთა კოლექტივმა არქიტექტორ მ. ვ. პოსოხინის ხელმძღვანელობით. ჩვენი აზრით, ავტორთა შთანაფიქრი კარგად ასახავს თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ძველებზე დამახასიათებელ ტენდენციებს. დამთვალიერებელი ნახავენ დიდი მოცულობის შენობას, რომლის სიმაღლე 40 მეტრს აღემატება. მაგრამ იგი მსუბუქი იქნება.

როგორია საბჭოთა ექსპოზიციის შთავარი მიზანი და მისი ძირითადი განყოფილებანი?

სსრ კავშირის პავილიონის ექსპოზიციამ დამთვალიერებელთ უნდა გააცნოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები. აქ წარმოდგენილი იქნება ექსპონატები, რომლებიც ცხადყოფენ ენერგეტიკის, მძიმე ინდუსტრიის ცალკეული დარგების განვითარებას. სამანქანო ტექნიკის საუკეთესო ნიმუშები, წარმოების ავტომატური მართვის ახალი საშუალებანი და ბევრი სხვა. ჩვენი პავილიონის დამთვალიერებელთ შესაძლებლობა ექნებათ ნახონ, თუ რას აკეთებენ საბჭოთა კავშირის მეცნიერები, რომ უზრუნველყონ პროგრესი კოსმოსის ათვისებაში, გაეცნონ ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების წარმატებებს, აღმოჩენებს დედამიწის წიაღის და ოკეანის შესწავლაში.

ჩვენ შევეცდებით აგრეთვე გავაცნოთ დამთვალიერებელთ საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყარო. ფერწერისა და ქანდაკების განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება ბევრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თანამედროვე ავტორების ნაწარმოებები. თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ შინამრეწველურ-მხატვრული სარეწების ოსტატები და მოხელისე მხატვრები. გამოფენაზე გამოვლენ საბჭოთა თეატრალური კოლექტივები, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, სოლისტები.

რას მოელით მსოფლიო გამოფენისაგან?

ყველა მსოფლიო გამოფენა უდიდესი მოვლენაა სახელმწიფოთა და ადამიანთა ცხოვრებაში. „ესკპო-67“ გამონაკლისი არ იქნება. გამოფენის დამთვალიერებელთ თვალსაჩინო წარმოდგენა შეექმნებათ, თუ რა უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს შეიცავს ხალხების მიერ უკვე მიღწეული ტექნიკური პროგრამები.

სსრკ თვითმფრინავი ცაზე

უ ტანი აფრთხილებს

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. (საკდესი). სანამ ამერიკის შეერთებული შტატები არ შეწყვეტენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვას, სამხრეთ ვიეტნამში კი არ შენელდება საომარი მოქმედება, ამ ქვეყნის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი შორეულ პერსპექტივად რჩება, განაცხადა გუშინ სანტიაგოში (ჩილი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა.

როგორც სანტიაგოდან იუწყებიან, უ ტანმა პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ ვიეტნამის პრობლემა „ძირითადად დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის პრობლემაა“.

თავისი შეხედულებანი ვიეტნამის შესახებ უ ტანმა მომდინარე წელს არაერთხელ გამოთქვა პრეს-კონფერენციებზე. გენერალურ მდივანს მიაჩნია, აგრეთვე, — და ეს კვლავ თქვა გუშინ სანტიაგოში, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ვიეტნამის პრობლემის გადაჭრაში, რადგან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლები მოელენ ერიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

გენერალური მდივნის ეს თვალსაზრისი „ამკარად ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების პოზიციას, რომლებიც ამ ბოლო დროს ყოველნაირად ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნაყოფო „მშვიდობიანი ლაპარაკით“ ჩამოაშორონ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება თავიანთ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ღე გოლი კამბოჯაში

პნომ-პენი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით აქ კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა უფლისწულმა ნოროდომ სიანუკმა დარბაზობა გამართა. საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლს, რომელიც „კამბოჯაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, დარბაზობაზე წარუდგენეს პნომ-პენში აკრედიტებული დიპლომატები.

ცოტა ხნის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტი შეხვდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელს კამბოჯაში ნგუენ თხუონგს.

თავდასხმები გრძელდება

ჰანოი, 31 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის თვითმფრინავების დიდი ჯგუფები, რომლებსაც ბაზა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტის ხომალდებზე, აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში, კვლავ არაერთგზის შეიკრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

თავდასხმების დროს, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, თვითმფრინავებმა ბომბები და ცეცხლი დაუშინეს კუანგბინის, თხანჰოის, კუანგნინისა და სხვა პროვინციების დასახლებულ პუნქტებსა და სამრეწველო ობიექტებს.

სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ ბომბები და ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე ქალაქ კატბის ხაოლას, დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთი ნაწილის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს.

მტკიცე პროტესტი

ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის თებერვლის საბჭოთა თანამთავმჯდომარეს მიიღო ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლაოსის ეროვნული ერთობის მთავრობის ინფორმაციის, პროპაგანდისა და ტურიზმის მინისტრის, ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა შესრულების სახელმწიფო კომისიის წევრის ფუმი ვონგვიჩიტის 1966 წლის 3 აგვისტოს დეპეშა.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ ამერიკის ავიაცია, არღვევს რა საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს და ლაოსის სუვერენიტეტს, კვლავ თავს ესხმის ლაოსის ტერიტორიას. მომდინარე წლის 30 ივლისს და 1 აგვისტოს ამერიკის თვითმფრინავებმა მასირებულად დაბომბეს მჭიდროდ დასახლებული რაიონები ქალაქ სამ-ნეას სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, რის შედეგად დაიხოცა ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, დაინგრა დიდძალი საცხოვრებელი სახლები, განადგურდა ნათესების ნაწილი.

ფუმი ვონგვიჩიტი მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის მხედრობის დანაშაულებრივი აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და ნეო ლაო ხაკ სატის სახელით მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ლაოსის ტერიტორიის დაბომბვა და ზუსტად დაიცვან ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებანი. (საკდესი).

კოლონიალიზმის წინააღმდეგ

ბრაზავილი, 30 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი რ. სერებრიანეოვი გვატყობინებს: ანგოლის ეროვნული კავშირისა და ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო ძოძრაობის პარტიის გაერთიანების მოწმობს, რომ ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პარტია ცნეს როგორც ხელმძღვანელი, მაორგანიზებელი ძალა ანგოლაში პორტუგალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ეროვნულ-განთავისუფლებელი ბრძოლისა, განუცხადა დღეს ბრაზავილში საკდესის კორესპონდენტს ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის თავმჯდომარე ა. ნეტომ.

ეს გადაწყვეტილება, თქვა ა. ნეტომ, მიღებულ იქნა ფონდ ბანდუნდუში. მარტის ბოლოს.

ეკვადორია ვრცელდება

ტოკიო, 31 აგვისტო. (საკდესი). ენერგეტიკის დაკავდების შემთხვევები აღინიშნა კიდევ ერთ რაიონში — იაპონის დედაქალაქ ტოკიოში.

ამრიგად, ეს საქმეში დაკავდება რეგისტრირებულია 41 პრეფექტურაში 46-დან. ამ ზაფხულის ენერგეტიკის მსხვერპლი გახდა უკვე 581 კაცი.

ჩინეგული წინადადება

ჟურნალ „კონსიორნში“, რომელსაც უშვებს ამერიკის შეერთებული შტატების მეთოდისტური ეკლესიის ქრისტიანულ-სოციალურ პრობლემათა გენერალური საბჭო, ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ჩინეთი“. ამ მასალის ავტორია ბ-ნი კარლ სული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული მეთოდისტური ბიუროს ხელმძღვანელი. „კონსიორნი“ ინგლისურად „შეშფოთებას, ზრუნვას“ ნიშნავს.

ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტი მისი სტატიიდან.

რამდენიმე კვირის წინათ „გერმანიის საკითხი“, რომელიც დიდხანს „სიმშვიდის მდგომარეობაში“ იყო, უშუალოდ დადგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წინაშე. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (აღმოსავლეთი გერმანია) შეიტანა ოფიციალური შუამდგომლობა ამ მსოფლიო ორგანიზაციაში მიღების შესახებ. თავის განცხადებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამავე დროს აღუთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ მისი წარმომადგენლები ორგანიზაციაში ყოველნაირად შეუწყობენ ხელს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარებას და შეძლებისდაგვარად მეტ წვლილს შეიტანენ გერმანელი ხალხის გაერთიანების საქმეში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამავე დროს მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთი გერმანია) მიღებასაც.

აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის წინადადება პირდაპირ ჩინებულია, და ჩვენთვის არასასიამოვნო იყო, როცა წავიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი გაილაშქრებს ყოველი ნაბიჯის წინააღმდეგ, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგმება... თუ თითქმის არავისთვის ცნობილი მალდივის კუნძულები, რომელთა მოსახლეობა ახლ ათას კაცზე ნაკლებს შეადგენს, XX საუკუნეში მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისე, რომ ამის წინააღმდეგ არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა, მით უმეტეს უნდა გახდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად შუაგულ ევროპაში არსებული ორი მძლავრი სახელმწიფო, რომელთა მოსახლეობა საერთოდ 70 მილიონ კაცს აღემატება! დაგვრჩენია იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ არ არის დასაწყისი სავალალო და უნაყოფო პოლიტიკისა, ისეთისა, როგორსაც ამერიკის მთავრობა ახორციელებდა და ახორციელებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გაცილებით მეტი უფლება აქვს ლაპარაკობდეს თავის მშვიდობისმოყვარეობაზე, ვიდრე, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, რამდენადაც გდრ-ის პოლიტიკა შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს — მან, მაგალითად, ოფიციალურად ცნო ოდერ-ნოისეზე დაწესებული საზღვარი პოლონეთის კანონიერ დასავლეთ საზღვრად, იგი მხარს უჭერს რაპაცკის გეგმას და ა. შ. რაც შეეხება დასავლეთ გერმანიას, მისი მთავრობა ქვეყნის გაერთიანების იდეებს ხშირად იყენებს თავისი მიზნებისათვის, როგორც, მაგალითად, თავის ამასწინანდელ „სამშვიდობო ნოტაში“.

ჩვენ პატიოსნად ვაცხადებთ: გერმანიის ქრისტიანებს ეროვნული ერთიანობა საყოველთაო მშვიდობის საქმესთან შედარებით მეორეხარისხოვან საქმედ უნდა მიიჩნდეთ. სწორედ საყოველთაო მშვიდობისა და განიარაღების საქმის ინტერესებისათვის, იმ საქმის ინტერესებისათვის, რომელიც მთელი კაცობრობისათვის პირველ ადგილზე დგას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ უნდა იქნან როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ჯონსონის განცხადება

ვაშინგტონი, 31 აგვისტო. (საკდესი). პრეზიდენტი ჯონსონი, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა „ამერიკის ლეგიონის“ ყოველწლიურ ყრილობაზე, არსებითად შეეცადა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

მან განაცხადა, რომ თუ აზიის ქვეყნებს დასჭირდათ დახმარება „აგრესიის“ მოსაგერიებლად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები „მიეშველებიან მათ“. ეს ძალები „იქ დარჩებიან მანამდე... სანამ საჭირო იქნება“, თქვა ჯონსონმა.

გაცვეთილი თეზისი

ვაშინგტონი, 31 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი გუშინ კვლავ გამოვიდა სამხედრო მზადყოფნის საკითხთა კვეკომისიაში, რათა პასუხი გაეცა ზოგიერთი სენატორისათვის, რომლებიც აკრიტიკებენ სულ უფრო ფართო სამხედრო ვალდებულებათა პოლიტიკას.

რასკმა გაიმეორა ძველი გაცვეთილი თეზისი, თითქოს შეერთებულ შტატებს ინდოჩინეთში სურდეთ, რომ ხელი შეუშალონ ჩრდილოეთ ვიეტნამს დაიპყროს სამხრეთი ვიეტნამი.

რასკი იკვეხნიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალიერებას და განაცხადა, რომ შეერთებული შტატებისათვის არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, როცა უნდათ, მაშინ დაიწყონ ომი, რომელსაც მოაკვეს ასეულ ათასობით ადამიანის დაღუპვა ან თუნდაც 300 მილიონი ადამიანის „მოსპობა პირველი საათის განმავლობაში“.

ამავე დროს სახელმწიფო მდივანი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებდნენ ღონისძიებებს, რომ ვიეტნამის ომი არ გადაიქცეს საყოველთაო ომად.

სხვადასხვა მერიდიანზე

◆ **ბუქარესტი,** 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტიდან ათენში თვითმფრინავით გაემგზავრა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იონ გეორგე მაურერი. როგორც აჟერპრესის სააგენტო იუწყება, იონ გეორგე მაურერი საბერძნეთში ოფიციალურ ვიზიტად იქნება.

◆ **პანოი,** 31 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო დაცვის ნაწილებმა გუშინ „ყუანგნინის პროვინციაში ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

სულ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 1371 თვითმფრინავი.

◆ **ჰანოი,** 31 აგვისტო. (საკდესი). სამ დღეში, 23 აგვისტომდე, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა რატზიას პროვინციაში გამართული ბრძოლების დროს მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 100 ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს ორი თვითმფრინავი და ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა.

28 აგვისტოს ბიენჰოის პროვინციის იმ რაიონში, გამართული ბრძოლების დროს, რომელიც 125 კილომეტრზე მდებარეობს საიგონის ჩრდილო აღმოსავლეთით, პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს სამხრეთ ვიეტნამის მარინეტული ჯარების ასეული. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმიუწმებს „განთავისუფლების“ სააგენტოს და იუწუყება, რომ 29 აგვისტოს განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა ქალაქ დალატში დაბომბეს ქვემო ანამიკული სამხედრო მოსამსახურე!

◆ **ნიუ-იორკი,** 31 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პოლიციელებმა ცრემლსადენი გაზის გრანატები დაუშინეს მასწავლებელთა ჯგუფს ეკვადორის ქალაქ გუიაკილში, როცა მათ რამდენიმე თვის დაკავებული ხელფასი მოსთხოვეს ხელისუფალთ. როგორც აღნიშნულია ეკვადორიდან მიღებულ ცნობებში, ორი მასწავლებელი დაჭატიმრეს.

◆ **ფხენიანი,** 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც სამხრეთ კორეის სააგენტო ხიბუტიდან აცნობებენ, 30 აგვისტოს პუსანის ნავსადგურიდან სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებისაკენ წავიდა ამერიკის სატრანსპორტო გემი, რომელზეც არის სამხრეთ კორეის ჯარების „თეთრი ცხენის“ დივიზიის ორი ჯგუფი. სააგენტო არ აღნიშნავს ამ ჯარების რიცხვს. მაგრამ ახლახან იუწყებოდნენ, რომ კიდევ 20 ათას სამხრეთკორეელ ჯარისკაცს ნაწილ-ნაწილ გაგზავნიან სამხრეთ ვიეტნამში.

◆ **პარიზი,** 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯიბუტიდან გვატყობინებს, დღეს, ჯიბუტიდან წასვლის წინ, საფრანგეთის ზღვისპირა დეპარტამენტების და ტერიტორიების საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა, გენერალმა პიერ მიიოტმა თქვა, რომ „საფრანგეთი არ იქნება წინააღმდეგი საფრანგეთის სომალის მიენჭოს დამოუკიდებლობა, თუ მისი მოსახლეობა ამას მოისურვებს“.

ტაილანდი აფრთხილებს

ვაშინგტონი, 31 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშენგინკო იტყობინება:

ხუთ დღეს იყო ვაშინგტონში განმა განთავისუფლების ეროვნული სამეფოს პოლიტიკური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე კოფი ა. ბუსია. იგი აქ შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს რასკს, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს აფრიკის საქმეებში პალმერს და საერთაშორისო განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელებს.

როგორც განეკი ოფიციალური პირნი აღნიშნავენ, ბუსიას „კეთილი ნების“ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო გაეცნო ამერიკის ოფიციალურ პირთათვის განის სამხეთრო მთავრობის გეგმები. ამავე დროს, ბუსიამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკონომიური დახმარება სთხოვა, აგრეთვე სთხოვა გაეცნონ ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პოლიტიკა განისა და აფრიკის სხვა ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის საქმეში.

ამერიკის პრესის ცნობებით, სახელმწიფო მდივანი რასკი „თანაგრძნობით“ მოეკიდა ბუსიას თხოვნას.

მის შემდეგ, რაც ძალაუფლება ხელთ აიღო სამხედრო თავრობამ, შეერთებულ შტატებმა განის დახმარების სახით მიაწოდეს 7,8 მილიონი დოლარის სესხი.

ბუსიამ ითხოვა გაუდიდოს ამერიკამ სასურსათო დახმარება განას, აგრეთვე დაეხმაროს განის მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებაში, აქ აღიუთქვეს, რომ განა მიიღებს დამატებითს სასურსათო და ტექნიკურ დახმარებას.

კ. ბუსიას ვიზიტი ვაშინგტონში

რა სურთ რასისტებს?

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). სამხრეთ როდეზიის პარლამენტში დღეს დაიწყო „ამათი ამ ქვეყნის კონსტიტუციის შესწორებათა მიღების საკითხზე. შესწორებანი წამოაყენა იან სმიტის რეჟიმმა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი სოლსბერიდან. ცნობაში აღნიშნულია, რომ სმიტის მომხრეებს პარლამენტში ჰყავთ საჭირო უმრავლესობა — ორი მესამედი, რათა მიიღონ ეს შესწორებანი.

საკდესის კომენტატორი ვ. ლისენკოვი წერს:

კონსტიტუციის შესწორებებით, რომელთა გაკეთება პარლამენტში სურთ რასისტ იან სმიტსა და მის მომხრეებს, გათვალისწინებულია, რომ სამხრეთროდეზიელ ხელისუფალთ მიენიჭოთ უფლება დააპატიმრონ და საპყრობილეში ჩასვან სხვადასხვა პირნი გაუსამართლებლად და გამოუძიებლად.

ამ ახალ რეპრესიულ ღონისძიებათა მიზანი მიმართულია სამხრეთ როდეზიის აფრიკელი მოსახლეობის წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა, რასისტული თვითნებობის აღსაკვეთად მებრძოლთა წინააღმდეგ. სმიტმა და მისმა კომპანიამ ამ ნაბიჯის გადადგმა გაბედეს იმიტომ, რომ მათ ხელს აფარებს ინგლისის მთავრობა.

წინა კვირას სამხრეთ როდეზიის პარლამენტმა მეორედ კიდევ ორი წლით გააგრძელა იუსტიციის მინისტრის დ. ლარდნერ-ბერკის საგანგებო რწმუნებანი, რომელთა შესაბამისად მას შეუძლია გაუსამართლებლად ჩასვას ადამიანი საპყრობილეში ხუთ წლამდე ვადით. წასულნი სამხრეთ როდეზიის ხელისუფალნი ფართოდ იყენებდნენ იუსტიციის მინისტრის საგანგებო რწმუნებებს რასისტული რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად.

მკვლელობა შტუტგარტში

ბონი, 31 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს შტუტგარტში მოკლეს იუგოსლავიის მიუნხენის გენერალური საკონსულოს შტუტგარტის განყოფილების ხელმძღვანელი სავა მილოვანოვიჩი. მკვლელმა რამდენჯერმე ესროლა პისტოლეტი მილოვანოვიჩს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. პოლიციამ დაკავა მკვლელი, მაგრამ ხელისუფალნი სრულიად არაფერს არ ამბობენ მისი პიროვნების შესახებ.

ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაუბრკოლებლად მოქმედებს ემიგრანტთა რამდენიმე ტერორისტული ორგანიზაცია, რომლებიც მტრულად ეკიდებიან იუგოსლავიის სოციალისტურ წყობილებას.

ეკვადორია ვრცელდება

ტოკიო, 31 აგვისტო. (საკდესი). ენერგეტიკით დაკავდების შემთხვევები აღინიშნა კიდევ ერთ რაიონში — იაპონის დედაქალაქ ტოკიოში.

ამრიგად, ეს საქმეში დაკავდება რეგისტრირებულია 41 პრეფექტურაში 46-დან. ამ ზაფხულის ენერგეტიკის მსხვერპლი გახდა უკვე 581 კაცი.

საბჭოთა ღვინოების 52 ოქროს მედალი

სოფია, 31 აგვისტო. (საკდესი). შეჯამებულია ღვინოების პირველი საერთაშორისო კონკურსის შედეგები, რომელიც აქ მიმდინარეობდა. კონკურსში მონაწილეობდა 26 ქვეყანა. დეგუსტირებული ღვინოების 913 ნიმუშიდან 377-მა მიიღო ოქროს მედლები, დანარჩენებმა — ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ყველაზე მეტი მედალი მიიღო ბულგარეთმა — 156 ოქროს, 132 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი. საბჭოთა კავშირმა კონკურსზე წარმოადგინა ღვინოების ასი ნიმუში, რომელთაგან 52 აღნიშნულია ოქროს და 48 —ვერცხლის მედლებით.

წყალდიდობა ინდოეთში

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი) კალკუტაში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ჩრდილოეთ ბიჰარში (ინდოეთი) ემგალითო წყალდიდობამ გაანადგურა 12 მილიონი ვირვანქა სტერლინგის მოსავალი. აღდგენილია განვამ და მისმა ფინანსიერებმა დაანგრიეს 25 ათასი საცხოვრებელი.

ფრანს პრესის მონაცემებით, წყალდიდობამ მოიცვა 37,000 კვადრატული მილი ფართობი. წყალდიდობამ მატერიალური ზარალი მიაყენა 3,5 მილიონ კაცს, 4 კაცი დაიღუპა.

ასამში, სადაც შემცირდა წყალი მდინარეებში, წყალდიდობის შედეგად დაიღუპა ცხრა კაცი. ინდოსის დამლეველან წყალდიდობის შედეგად შტატში სულ დაიღუპა 36 კაცი.

მიწისძვრა ალასკაზე

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო, (საკდესი). დღეს ქალაქ ანკორიჯის რაიონში (ალასკის შტატი) მოხდა მიწისძვრა. როგორც ასოშიეიტედ პრესს სააგენტო იუწყება, აღინიშნა ორი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი. ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული არავითარი მონაცემები მსხვერპლისა ან ნგრევის შესახებ.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის სეისმოგრაფიული სადგურის ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს ქალაქების კორდოვისა და ვალდეზის რაიონში.

სირიის პრეზიდენტი მოუწოდებს

დამასკო, 30 აგვისტო. (საკდესი). ამჟამად დასავლეთის ნავთობის მონოპოლიები ახალი სახეობის კოლონიალიზმია და მეტი არაფერი, განაცხადა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნურედინ ატასმ, რომელიც ამბობდა ახალგაზრდობის ერთ-ერთ გასამხედროებულ ბანაკში. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის ათეული ბრძოლის შედეგად არაბული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლდა იმპერიალიზმის ბატონობისაგან.

მაგრამ ზოგიერთი რაიონი, როგორიცაა არაბეთის ნახევარკუნძული ქვეყნები, ჯერ კიდევ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენას განიცდიან, განაგრძო მან.

დასასრულ პრეზიდენტმა მოუწოდა ახალგაზრდობას იბრძოლოს ჩამორჩენილობის, უმეცრების, უუფლებობის წინააღმდეგ, ადამიანის მეორე ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციისათვის, კოლონიალიზმის ნამოთების მოსპობისათვის.

სასკოლო იუმორი

— ეს რა დაგმართნია?
— ხაშინელება. ერთიდ ამოცანის ამოხსნამ თავი გამიტეხა.

ნახ. ლ. ხლავოვისა.

ნახატები ამოღებულია გაზეთ „სრედნოშკოლნაია ზნამიდან“.

— კოვალსკის დღესაც არ შეუწავლია გაკვეთილი მიზიდულობის კანონზე.

ნახ. კ. მოზოლევსკოისა.

ჟურნალი „პოლშა“.

ყოველი მხრიდან

საზღვარგარეთის პრესა დიდ ინტერესს იჩენს ავტომატური სადგურის „ლუნა-11“-ის ფრენისადმი, რომელიც გახდა მთვარის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი. „დამუხრუჭების მანევრმა „ლუნა-11“ გადაიქცია მთვარის ახალ თანამგზავრად“, — ნათქვამია საფრანგეთის „ლუმანიტეს“ სათაურში. მეორე ფრანგული გაზეთი „ვენკატრ ერი“ ხაზს უსვამს, რომ „საბჭოთა კოსმოსური სადგური საათივით იყო აწყობილი“.

მთელი მსოფლიო პრესა აშუქებს ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსულ მოქმედებას ვიეტნამში. გაზეთები ბეჭდავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შინაარსს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის ავიაციამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე თავდასხმების დროს გამოიყენა მსხვრეველი ბომბები.

პარიზის „ფიგაროში“ რ. არონი აფრთხილებს ამერიკელებს, „შეცდებით, თუ ვერ მიხვდით, რომ ადამიანთა მამაცობის წინააღმდეგ ზოგჯერ დამანგრეველი მანქანებიც კი უძლურიაო“.

უცხოეთის ბევრი გაზეთი ყურადღებას უთმობს ვაშინგტონის გახზრახვას ამერიკის შეიარაღებული ძალების რიცხვი ვიეტნამში გაზარდოს 600 ათასამდე. ინგლისის პრესა ხაზს უსვამს: ეს ნიშნავს, იმას, რომ ამერიკის ჯარების რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში ერთიორად გაიზარდოს.

საფრანგეთის გაზეთები ბეჭდავენ ცნობებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ მომდინარე წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე სამხრეთ ვიეტნამის არმიიდან გაიქცა 67 ათასი კაცი. „ლუმანიტე“ ამხილებს ვაშინგტონის ოფიციალურ მტკიცებას, თითქოს ამერიკელები ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე „მხოლოდ სამხედრო ობიექტებს ბომბავდნენ“ და წერს, რომ ამერიკელები ბარბაროსულად ბომბავენ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს. ინგლისში ამერიკის ავიაცია მრავალჯერ დაესხა თავს ქალაქებს.

პაკისტანის „ტოკიო სიმბუნი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში ომის შემდგომი ესკალაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

სოციალისტური ქვეყნების გაზეთები ბეჭდავენ ინფორმაციებს, რომ იზრდება მებრძოლ ვიეტნამთან საერთაშორისო სოლიდარობის მოძრაობა, აღნიშნავენ ამ დახმარებას, რასაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა უწევს გმირ ვიეტნამელ ხალხს.

ლონდონის გაზეთები ხაზს უსვამენ სეარა ლეონეს პრემიერ-მინისტრის ა. მარგაის მოწოდებას გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ სამხრეთ როდეზიის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ. ა. მარგაი ჩავიდა ინგლისში, რათა მოხდეს მონაწილეობა მიიღოს თანამეგობრობის ქვეყნების კონფერენციაში, რომელიც მომავალ კვირაში გაიხსნება. „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრს ვილსონს კონფერენციაზე მეტად სუსტი პოზიციები ექნება. „თავიდანვე ნთელი იყო, — წერს „მორნინგ სტარი“, — რომ საჭიროა უფრო მკაცრი ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს სმიტის დიქტატორულ რეჟიმს სამხრეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმინე, სწავლის მაძებნელო!

ქალიაშვილი კაცი მოინახოს, რომელსაც დღევანდელი დღე არ აღელვებდეს, არ ახარებდეს — პირველი სექტემბერი! სკოლა, ტექნიკუმი, უმაღლესი სასწავლებელი, პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი... არ შეიძლება რაიმე ძაფებით არ იყოს ადამიანი ყოველივე ამასთან დაკავშირებული — ან აღსაზრდელი და მოსწავლეა, ან აღმზრდელი და მასწავლებელია; ან მშობელი და ახლობელია ერთისა თუ მეორისა. ამიტომ შეიძლება პირველ სექტემბერს მილიონთა დღესასწაული ვუწოდოთ.

როდესაც ამ სტრიქონების კითხვას შეუდგებით, ახალი სასწავლო წლის დაწყების მაცნე პირველი ზარი უთუოდ უკვე დარეკილი იქნება, დილის საზეიმო-სადღესასწაულო ნაწილიც დამთავრებული, და მოსწავლეთა საკლასო ოთახებში თუ სტუდენტთა აუდიტორიებში უკვე სწავლა მიმდინარეობს.

მაგრამ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ამ დიდებული დღის წინ ეწვია ჩვენი რესპუბლიკის განათლების მინისტრს **თამარ ვასილის ასულ ლაშქარაშვილს** და სთხოვა მკითხველებისათვის ეამბნა წლევანდელი წლის სწავლა-აღზრდის ზოგიერთ საკითხსა და თავისებურებაზე.

— უპირველესი თავისებურება, — განაცხადა მინისტრმა, — როგორც იცით, ის არის, რომ ჩვენს სკოლებში დამამთავრებელი კლასია მეათე— უკვე მთლიანად გადავედით ათწლიან სწავლებაზე.

ჩემს საუბარს აქედან სწორედ იმიტომ ვიწყებ, რომ ეს განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელთა სამოცდაათიათასიან არმიას. ეს არც არის გასაკვირველი თუნდაც იმ უბრალო არითმეტიკული ფაქტის გამო, რომ რასაც წინათ თერთმეტი წლის დაძაბული შრომით ვაღწევდით სკოლაში, ამიერიდან მას ათი წლის შრომა უნდა ვაკმაროთ. და საქმე ის არის, რომ ამ ათი წლის შრომამ გაცილებით უკეთესი შედეგები უნდა მოგვცეს. ცხოვრება წინ მიდის, და სკოლას არც უფლება აქვს და არც სურვილი მხარი არ გაუსწოროს მას საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროში, როგორიც მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაა.

სხვა სასწავლო წლებისაგან წლევანდელს ისიც განასხვავებს, რომ ეს პირველი წელი იქნება საყოველთაო საშუალო განათლების შემოღებისა, რომელიც, როგორც ამას ხუთწლიანი გეგმა გვაუწყებს, 1970 წლისათვის უნდა დამთავრდეს. ჩვენი—აღმზრდელებისა — პასუხისმგებლობას ეს მოგვლენაც ზრდის.

როგორც ყოველთვის, წელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პოლიტექნიკურ განათლებას — პირველ რიგში მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის გაკვეთილებზე მოსწავლეთა თეორიული ცოდნის ამაღლებასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების სახით გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს გაკვეთილებზე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. უფროსკლასელთა შრომითი სწავლების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს არის.

შრომის გაკვეთილებზე უფროსკლასელებს უნდა შეეასწავლოთ ის საქმე, რომელიც მათ სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიის არჩევაში გამოადგება. ეს საქმიანობა უნდა წარიმართოს, რა თქმა უნდა, სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების, სახელოსნოებისა და საცდელი ნაკვეთების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამასთან საჭირო იქნება საწარმოებში ექსკურსიების მოწყობა თანამედროვე წარმოების საფუძვლების გასაცნობად. ხოლო იმ სკოლებში, სადაც საწარმოო სწავლების დადებითი გამოცდილებაა შეძენილი და საკუთარი სასწავლო-საწარმოო ბაზა აქვთ, შეიძლება მოეწყოს მოსწავლეთა პროფესიული მომზადება იმ სპეციალობებში, რომელთა საჭიროებას განიცდის მოცემული დიდი და სახელოვან კოლექტივს, რომელსაც ნორჩი თაობის აღზრდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე ანდია.

წელს საგრძნობლად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს სახელმძღვანელოების მხრივ. ახალი სასწავლო წლისათვის დაიბეჭდა და ადგილებზე დაიგზავნა 361 დასახელების 5 მილიონ 200 ათასზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელოები. ზოგიერთი ტირაჟიც კი გაგვიდიდდა. მაგრამ ამის მიუხედავად თუ მაინც არის სადმე, ადგილებზე, შექმნილი სიძნელე სახელმძღვანელოების შეძენაში, აქ პირველ რიგში ბრალი უნდა დავდოთ წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ნაბეჭდი პროდუქციის დროზე და ორგანიზებული გატანა ადგილებზე გასაყიდად.

რამდენადმე სხვა მდგომარეობა შეიქმნა წელს სასწავლო პროგრამების მხრივ. გამომცემლობა „განათლებამ“ ვერ უზრუნველყო პროგრამების გამოცემა მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებისათვის, რაც მას დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს. ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია და მასწავლებლები ადგილებზე მიიღებენ სასწავლო პროგრამებს.

XXIII სკკპ ისტორიულმა ყრილობამ ახალი ამოცანები დაუსახა საბჭოთა სკოლას. ყრილობის ვადაწყვეტილებათა შესაბამისად შემდგომ განვითარდება სახალხო განათლება, ამაღლდება მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო დონე, ამაღლდება კადრების მომზადების ხარისხი. ხუთწლედის მანძილზე ძირითადად დამთავრდება ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება. პარტიამ დაგვავალა შემდგომაც ვაუმჯობესოთ სწავლების ხარისხი. საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლას წინ უნდა უძღოდეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განუხრელი განხორციელება ისე, რომ უკვე მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის ასაკის არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლების ხარისხის ამაღლებაში მიღწეულია გარკვეული წარმატება. ეს გვიჩვენა ახლახან დამთავრებულმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა. ამის მიუხედავად, დამაფიქრებელია ის ცალკეული ფაქტები, რომ ზოგიერთმა მედალოსანმა გამოცდებზე ვერ გამამართლა თავისი სახელი. ამიტომ მომავალშიც სასტიკად უნდა ვებრძოლოთ ლიბერალიზმს, გამოვიჩინოთ მეტი ობიექტურობა და მომთხოვნელობა.

ჩვენ უნდა აღვუზარდოთ სამშობლოს სულიერად მაღალი, მორალურად წმინდა, ფიზიკურად ჯანსაღი თაობა, ისეთი თაობა, რომელიც დაუფლებული იქნება მეცნიერებათა საფუძვლებს და უნარი ექნება შეძენილი ცოდნა ცხოვრებაში გამოიყენოს.

ჩვენი რესპუბლიკის განათლების ფრონტის მუშაკები, რომლებიც მუდამ გრძნობენ პარტიის სიტყვა, სამშობლოს ხმა, მეცნიერების მარცვალი. მარტო 1.200-მდე ახალბედა მასწავლებელი პირველად შედის ხვალ ეურნალით ხელში საკლასო ოთახებში და იწყებს პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობას. დაბმარება, მხარდაჭერა, ზრუნვა არ უნდა მოვაკლოთ ახალბედებს და, საერთოდ, მთელ პედაგოგთა

ᲐᲮᲚᲕᲔᲖᲐᲠᲓᲝᲗ, ᲓᲐᲕᲐᲕᲐᲥᲙᲐᲪᲝᲗ!

საუბარი საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან ამხ. თ. ლაშქარაშვილთან

◆

ქალაქის ან რაიონის სახალხო მეურნეობა.

უკანასკნელ წლებში არა თუ სამდურავი არ გვეთქმის ჩვენი მშენებლების მიმართ, არამედ, შემთხვევით ვახარგებლობთ და, მადლობითაც უნდა მოვიხსენიოთ ისინი.

შარშან, მაგალითად, სახალხო მშენებლობის გეგმა 107 პროცენტით შესრულდა. წელს პირველი რვა თვის გეგმაც გადაჭარბებით არის შესრულებული. 5ᲨᲗ სახალხო შენობა 14.000 მოსწავლის ადგილით! — აი საჩუქარი ჩვენს მომავალ თაობას, აი რა შეემატა წელს ჩვენს სკოლებს!

იმედია მშენებლები კვლავაც განაგრძობენ ბრძოლას და წლის ბოლომდე დანარჩენ ასაშენებელ ობიექტებსაც ჩააყენებენ მწყობრში.

პედაგოგი, მასწავლებელი! — ეს ხომ აღზრდის ცენტრალური ფიგურაა სკოლაში. ამას წინათ დამთავრებულმა მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებმა, ამ დღეებში ჩატარებულმა პედაგოგიურმა საბჭოებმა ნათლად დაგვანახვეს, თუ რა ძალა ჰყავს რესპუბლიკას, — თავისი საქმის ხელოვანი პედაგოგები ზრდიან კომუნიზმის მომავალ მშენებელ ადამიანებს. 70.000-ზე მეტ მასწავლებელს მიაქვს ნორჩების გულამდე პარტიის სიტყვა, სამშობლოს ხმა, მეცნიერების მარცვალი. მარტო 1.200-მდე ახალბედა მასწავლებელი პირველად შედის ხვალ ეურნალით ხელში საკლასო ოთახებში და იწყებს პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობას. დაბმარება, მხარდაჭერა, ზრუნვა არ უნდა მოვაკლოთ ახალბედებს და, საერთოდ, მთელ პედაგოგთა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ...

ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲓ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

◆ **შარშან** 42 პროფტექნიკური სასწავლებელი იქონდა 13.000 მოსწავლით. წელს 48 პროფტექნიკური სასწავლებელი გვაქვს 22.000 მოსწავლით.

◆ **წელს** 17.200 მოსწავლე პირველად შეუდგება სწავლას პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში.

◆ **ახალმიღებულთა** შორის 9.000 ახალგაზრდა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

◆ **პირველ** სექტემბერს პირველად შეუდგა ახალგაზრდობის პროფტექნიკურ განათლებას თბილისის ორი და ზუგდიდის ერთი (ენგრძელების ბაზაზე) ტექნიკური სასწავლებელი. მსხვილ საწარმოებთან შექმნილია პროფტექნიკური სასწავლებლების 12 ფილიალი.

◆ **ბათუმის**, სოხუმისა და გარდაბნის სულ ახალ, კეთილმოწყობილ სასწავლო და საყოფაცხოვრებო კომბინატებში შეუდგა ახალ სასწავლო წელს 700-მდე მოსწავლე.

◆ **თბილისის** 27-ე, ქუთაისის 42-ე, ჭიათურის მე-20 და წულუკიძის მე-8 პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა მიიღეს ახალგებული სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები.

◆ თუ შარშან 130 სხვადასხვა სპეციალობა ისწავლებოდა, წელს ეს ციფრი 150-ზე ავა.

◆ სოფლის მეურნეობისათვის კადრებს ამზადებს 7 ახალი სასოფლო პროფტექნიკური სასწავლებელი.

◆ **თბილისის** მე-5 და მე-6, ქუთაისის მე-4, რუსთავის მე-3 პროფტექნიკურ სასწავლებლებში მუშაობას შეუდგებიან სპეციალური (საცდელი) სასწავლო ჯგუფები, რომლებშიც ახალგაზრდები სპეციალობასთან ერთად საშუალო განათლების ატესტატსაც მიიღებენ.

◆ **შარშანდელი** 800-ის ნაცვლად წელს 1.500-მდე მასწავლებელი და ოსტატი ემსახურება პროფტექნიკური განათლების სისტემას. საინჟინრო-პედაგოგიური კადრები ძირითადად დაკომპლექტებულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებით.

◆ **500.000** მანეთის ახალი სასწავლო ხელსაწყოებით შეავსებენ სასწავლებლების კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები.

◆ **40 სასწავლო** კაბინეტი (კომპლექტი) მიიღო წელს პროფტექნიკური განათლების სისტემამ რესპუბლიკაში. მიღებულია და სასწავლებელთა სამსახურში ჩადგა 100-ზე მეტი ახალი ტიპის სხვადასხვა ჩარხები, დანადგარები, მოწყობილობა.

◆ **სოფლის** პროფტექნიკურ სასწავლებლებს მიეცათ 80 დასახელების ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სახის მანქანები.

◆ **პროფტექნიკური** განათლების ყველა სასწავლებელს აქვს კეთილმოწყობილი ბაზები კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობისათვის.

რუსთაველი ამბობს

გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჯმირდეს.

ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მძძნელია.

არა ვიძმ, ცოდნა რას მარგებს
ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს
შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა.

არას გარგებს სწავლულება.
თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.
არ იხმარებ. რას ხელსა ხდი
საუნჯესა დაფარულსა?

თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები.

ხარმცა ბრძნად მძძნელი საქმისა.
იყავ წყნარი და ცნობილი!

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველ მოადგილესთან ამხ.

ზ. ფორაქიშვილთან.

◆

სასწავლებლებში. ამიტომაც ბოლოდროინდელ ოლქკომებზე, ოლქმაბჭოებზე, ოლქსააღმასრულებლო კომიტეტებზე, ოლქის ეკონომიკურ ორგანოებზე, ოლქის ეკონომიკურ ორგანიზაცი

კომუნისტი — ახალი ამბები ცნობები

თვითეულ ოჯახს გაზეთი და ჟურნალი!

დღეს, პირველ სექტემბერს, მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს რესპუბლიკაში იწყება ხელმოწერა საბჭოთა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებზე 1967 წლისათვის.

ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს უფროსს ს. ხონელიძეს.

— რა დროის განმავლობაში იწარმოებს ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე და როგორია ხელმოწერის ძირითადი თავისებურება?

— 1967 წლისათვის ყველა ჟურნალ-გაზეთზე ხელმოწერა იწყება პირველ სექტემბერს და 25 ნოემბრამდე გასტანს. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ ხელმოწერა კვლავ გაგრძელდება, მაგრამ არა 1967 წლის იანვრისათვის, არამედ თებერვლისა და მომდევნო თვეებისათვის.

„სოიუზპეჩატის“, კავშირგაბმულობის მუშაკთა და საზოგადოებრივ განავრცელებელთა წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — პერიოდული გამოცემებით უზრუნველყონ თვითეული ოჯახი. 1967 წლის ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების, აგრეთვე რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების გამოწერა შეუღუდავი იქნება.

მაგრამ დამატებანი „იზვესტიისა“ — „ნედელია“ და „სოვეტსკი სპორტისა“ — „ფუტბოლი“ გავრცელდება ცალობით, „სოიუზპეჩატის“ კიოსკებსა და მაღაზიებში.

1965 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოში ყოველ 1.000 სულზე ვრცელდებოდა 553 ეგზემპლარი ჟურნალი და გაზეთი. ამრიგად, ჟურნალ-გაზეთების გავრცელების მხრივ სსრ კავშირში მეთხუთმეტე ადგილზე ვიყავით.

ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად გასულ წელსვე პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოსაციებთან ერთად მივიღეთ საჭირო ღონისძიებანი. შედეგი კარგია: 1966 წელს რესპუბლიკაში ყოველ 1.000 სულზე უკვე ვრცელდება 827 ეგზემპლარი ჟურნალი და გაზეთი. ამით ხელმოწერის მატების მხრივ (მატებამ 1965 წელთან შედარებით მოგვცა 1.200 ათასი ეგზემპლარი, ანუ 40 პროცენტი) სსრ კავშირში პირველი ადგილი დაგიკავეთ. ხოლო ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საერთო დონის მიხედვით მეთხუთმეტედან მეშვიდე ადგილზე გადმოვედით (სულ რესპუბლიკაში გავავრცელეთ 3.300 ათასი ეგზემპლარი ჟურნალი და გაზეთი).

ამ საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს პრესის პროპაგანდისა და გავრცელების რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა, პრესის საზოგადოებრივმა გამავრცელებლებმა. რესპუბლიკაში მუშაობდა პრესის პროპაგანდისა და გავრცელების 822 საბჭო, 8.000-მდე საზოგადოებრივი გამავრცელებელი, 2.080 ხელმოწერის პუნქტი.

— როგორ მოემზადნენ ხელმოწერისათვის „სოიუზპეჩატის“ განყოფილებები და სააგენტოები, აგრეთვე პრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლები?

— მომავალი წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის წარმატებით ჩატარებას ღონისძიებათა განსახილველად უკვე მოეწყო „სოიუზპეჩატის“ ხელმძღვანელი მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი აქტივთან ერთად; კავშირგაბმულობის, „სოიუზპეჩატის“ მუშაკთა და საზოგადოებრივ გამავრცელებელთა საინსტრუქტაჟო თათბირები მოეწყო აგრეთვე რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში; დაიბეჭდა სსრ კავშირის, უცხოეთის, საქართველოს სსრ ხელმოწერით გასავრცელებელი ჟურნალ-გაზეთების კატალოგები, რაც დაიგზავნა ან იგზავნება ადგილებზე; გამოიცა (ნაწილობრივ გამოიცემის პროცესშია) და ადგილებს ეგზავნება მხატვრულად შესრულებული პლაკატები, მოწოდებები, თვალსაჩინოებანი; ბევრგან მოეწყო ხელმოწერის პუნქტები.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას მიაქცევენ მსხვილ საწარმოებში, მეურნეობებში, სასწავლებლებში პრესის პროპაგანდისა და გავრცელების საბჭოების შექმნის საკითხს, ხოლო დანარჩენ ადგილებში პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებად შეარჩევენ უნარიან ამხანაგებს.

— სად მიიღება ხელმოწერა, რა პირობებში და რამდენი ხნით?.

— ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა, როგორც წესი, მიიღება უკლებლივ „სოიუზპეჩატის“ ყველა სააგენტოში, ხელმოწერის პუნქტში და საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან — ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში და სხვ., კავშირგაბმულობის ყველა რაიონულ, საქალაქო და სასოფლო განყოფილებაში, ქ. თბილისის ფოსტამტებში.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა თავისუფალი, შეუზღუდავი იქნება — ერთი, ორი, სამი და ოთხი თვით, აგრეთვე ექვსი თვითა და ერთი წლით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თვით ხელმომწერთა ინტერესების გათვალისწინებით სასურველია ხელმოწერა ერთი წლით (ზოგ შემთხვევაში ექვსი თვით).

ამასთან კატეგორიულად აკრძალულია ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა განვადებით საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ჟურნალ-გაზეთების გავრცელება პარტიული საქმეა. ამ კეთილშობილურ საქმეში ჩვენ ძალიან გვჭირდება მტკიცე პარტიული ხელი, რომელსაც, რა თქმა უნდა, გამოგვიწვდიან პარტიის რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მაშ ასე. დღეს იწყება ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1967 წლისათვის. ყველამ უნდა ვიმუშაოთ დეკემბერი: თვითეული ოჯახს გაზეთი და ჟურნალი!

პირველი სექტემბრისათვის კარგი საჩუქარი მიიღეს ლენინის რაიონის მოსწავლეებმა. ჩარგლის ქუჩაზე თბილმშენის მე-3 და მე-6 სამშენებლო სამმართველოების კოლექტივებმა 132-ე საშუალო სკოლის ახალი შენობა ააგეს. იგი გათვალისწინებულია 960 მოსწავლისათვის.

სურათებზე: (მარჯვნივ ზემოთ) 132-ე საშუალო სკოლის ახალი შენობა; (მარცხნივ ქვემოთ) პედაგოგი რუსუდან ლომთათიძე და უფროსი პიონერხელმძღვანელი ნათელა ნუცუბიძე მოსწავლეებს უჩვენებენ ახალ საკლასო ოთახებს; (მარცხნივ ზემოთ) მე-9 კლასის მოსწავლეები ლალი გელაშვილი, გულნარა ლაგვილავა და მერი ბულაური, როგორც იტყვიან, აწკრიალებენ თავიანთ საკლასო ოთახს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ყვავილები და ბავშვი.
ნახატი ლ. კაიდარაშვილისა.

• ეს საინტერესოა

ტყის გოლიათები

აურაცხელია ათეულობითი ტყის სიმდიდრე. წითელი ხე, წიფელი, წაბლი, მუხა, ჯაჯარი შავი ზღვისპირეთის ტყეების ძირითადი ხეებია.

მეტყევეები კარგად იცნობენ და სათუთად უვლიან ასწლოვან ხეებს. ცხრაასი წლისა დგას ფიქნარის „პატრიარქი“ ბიჭვინთაში. მესამეული პერიოდის რელიქტური ფიქვების წარმომდგენელს, რომლის სიმაღლე ორმოცდაათ მეტრს აღემატება, ამდენად სქელი ტანი აქვს, რომ ექვსი კაცი ვერ შემოეწვდებს ხელს, ხოლო „ტყის მეფის“ მეზობელი გოლიათები ბევრად როდი ჩამორჩებიან მას სიდიდითა და ასაკით.

ორამჩირის რაიონის ერთ-ერთ ტყეში მძვინვარე ჩრდილოეთის ქარის მიუხედავად მწვერვალებიდან, დგას 400 წლის წაბლი, რომლის ტანის დიამეტრი ოთხ მეტრს აღწევს, სიმაღლე კი 30 მეტრს. ვერც ჭექა-ქუხილმა, ვერც ქარიშხალმა ვერ შეარყია ამ ტყის გოლიათის სიმტკიცე, რომლის ტოტებს ქვეშ ხშირად იყრიან თავს გარეული ცხებები და დათვები.

გუდაუთის მახლობლად სოფელ აჭანდარაში დგას ცნობილი ჯაჭარი. 24 მეტრი სიმაღლის ეს გიგანტი ექვსას წელზე მეტი ხნისაა. მისი დიამეტრი ხუთ მეტრს აღწევს. მიუხედავად ამისა, რომ ხეს აქვს უზარმაზარი ფუღურო, რომელიც თავისუფლად ეტევა მხედარი და „მოსკვიჩი“, იგი ინტენსიურად იზრდება. დიდი ისტორიული მოვლენების მოწმე იყო ეს ტყის გოლიათი. მის ირგვლივ ყველ მეფეთა ალაფყების ხელმძღვანელები და რეკოგნოსცირები აწყობდნენ ოდესღაც ჩაგრულ აჭანდარელთა კრებებს. ჩვენს დროში კი ირგვლივანი ჯაჭის ქვეშ კოლმეურნეები სასოფლო შეკრებებს მართავენ.

თ. ჯიბუტი.
(საქდესის კორ.).

„საქართველოს აგიტატორი“ № 16

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ ბოლოდროინდელი, მეთექვსმეტე ნომერი.

შოთა რუსთაველის ობელისკი

პეტროპავლოვსკი, 31 აგვისტო. (საქდესის კორ.). საბჭოთა მეურნეობა „პოლუდინსკაში“ საზეიმოდ გაიხსნა ობელისკი, რომელსაც შოთა რუსთაველის ბარელიეფი ამშვენებს. ობელისკზე წარწერილია დიდი პოეტის სტიქონები:

ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.

ობელისკი გაიხსნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით, როგორც პოეტის სამშობლოდან ჩამოსულ ახალგაზრდებთან მეგობრობის სიმბოლო. მომზე საქართველოს სტუდენტთა დიდი ჯგუფი აქ ატარებდა თავის არდადეგებს — უამირელებს ეხმარებოდა მშენებლობაში.

კანსიონატი მთეგში

ბაბრა, 31 აგვისტო. (საქდესი). მთეგში, იქ, სადაც ერთმანეთს ერთვიან ბობოქარი ლაშიფსე და ავადჰარა, დაბურულ წიწვიან ტყეში აღმართულია სამსართულიანი შენობა. „ავადჰარა“ — ასე უწოდეს კურორტოლოგებმა ტყეში აშენებულ ამ მაღალი მთის პანსიონატს. მთის სუფთა ჰაერმა, სამკურნალო წყაროსთან სიახლოვემ მალე მოუხვეჭეს სახელი აფხაზეთის ახალგაზრდა კურორტს. შეღეავთანი პროფკავშირული სანატორიუმი აქ ზაფხულს იტარებს 250-300 კაცი.

მთებში, ავადმყოფის ტყეებში მოაგარაკეები მოწყენას არ გრძნობენ. ისინი ექსკურსიებს აწყობენ რიწის ტბაზე, გაგრასა და ბიჭვინთის კონცხზე.

• სპორტი •

ერთიორად და უფრო მეტად...

65 მილიონი კაცი! ფიქრობენ, რომ ასეთი იქნება საბჭოთა ფიზკულტურიდან ბის არმია 1970 წლის დამლეგს. ეს ციფრი დაასახელეს მოსკოვში პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მოეწყო საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შეახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლაევმა მოადგილემ **ლ. გ. ნიკონოვმა** პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ შვიდწლედის მანძილზე ფიზკულტურისა და სპორტის მიმდევართა რიცხვი ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა და ახლა 46 მილიონზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის 20 პროცენტისათვის ფიზკულტურა და სპორტი შრომისაგან განყოფელი გახდა. ახლა ჩვენს ქვეყანაში 2.400 სტადიონი, 30 ათასამდე სპორტული დარბაზი, 64 ათასი ფეხბურთის მოედანი, 365 ათასი სათამაშო მოედანია.

ამასთან, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება ახალ პერსპექტივებს სახავს ფიზკულტურული და სპორტული ცხოვრების ყველა სფეროში. თავის განცხადებაში და ჟურნალისტთა შეკითხვებზე გაცემულ პასუხში **ლ. გ. ნიკონოვი** შეეხო ფიზიკური კულტურის განვითარების იმ ამოცანებს, რომლებიც დასახული სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, სასოფლო ორგანიზაციების, სპორტულ ნაგებობათა მშენებლების, მეცნიერებისა და იმათ წინაშე, ვინც მოსახლეობა უნდა მოამზადოს სპორტული ინვენტარით.

ეს დადგენილება, ხაზგასმით აღნიშნა **ლ. გ. ნიკონოვმა**, ახალი მკაფიო გამოვლინებაა პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვისა მშრომელთა ჯანმრთელობისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის.

ო. ფხაკაძე—ნახევარფინალში

ველოსპორტის მოყვარულთა ყურადღება მაინის ფრანკფურტის ტრეკზეა გამახვილებული. აქ რამდენიმე დღეა გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში.

გფრ-ს ამ ქალაქში დროგამოშვებით წვიმს. სპორტსმენები ელოდებიან თუ როდის გადაიღებს და გაშრება ტრეკის ბეტონი. მაგრამ შეჯიბრება, თუმცა შეცვლილი პროგრამით, მაინც ეწყობა.

4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლის მონაწილე ვაუების შორის საბჭოთა სპორტსმენები **ს. მოსკვინი** და **ვ. ბიკოვი** რვა უძლიერესის რიგებში შევიდნენ. აქ წინ იყო პოლანდიელი **ტიონონ ბრონენი**. ასპარეზობის მორიგ ეტაპზე ორივე საბჭოთა ველოსრბოლი გამოეთიშა ჩემპიონობისათვის მებრძოლთა რიგებს. ნახევარფინალში გავიდნენ **ბრონენი, ურსიმი** (იტალია) და ჩეხოსლოვაკიელი ველოსრბოლები **კოლარი** და **დალერი**.

ქალთა შორის გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ინგლისელი **ბეირ ბერტონი**. 3 კილომეტრი მან დაფარა 4 წუთსა და 10,47 წამში. საბჭოთა სპორტსმენი **აინე პურონენი** მეოთხე იყო.

სპრინტერთა ასპარეზობას საბჭოთა მრბოლელებიდან მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონი **ო. ფხაკაძე** შერჩა. მან მორიგი გამარჯვება მოიპოვა და მეოთხედფინალში გავიდა. ქართველმა ველოსრბოლმა ხძლია ინგლისელ **ა. ბარნეტს** და ბელგიელ **რენე ვან ლანდერს**.

ბუენოს მაინის ფრანკფურტიდან ახალი სასიხარულო ცნობა მივიღეთ — ჩვენი თანამემამულე **ო. ფხაკაძე** ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იქნება ცნობილი ფრანგი სპრინტერი **პიერ ტრანტენი. ო. ფხაკაძემ** დამარცხა დანიელი **ნილს ფრირბურგი**.

ორი შეხვედრა

ბუენოს თბილისსა და ბათუმში გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ლიდერთა ჯგუფის წარმომდგენელი კიროვაბადის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბათუმში მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ დინამოელებსა და ტალინელ თანაკლუბელებს. გიმარჯვეს ბათუმელებმა 3:0.

ჩემპიონატი გახსნა პრემიერამ

პრაღა, 30 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და კიდევ 22 ქვეყნის ფრენბურთელებმა დღეს ჩეხოსლოვაკიის მოედნებზე დაიწყეს ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის. ჩვენი პლანეტის მეექვსე პირველობა საზეიმო ვითარებაში გახსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ იოზეფ ლენარტმა. პირველ მატჩში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელებმა დამარცხეს იტალიის ნაკრები — 3:0 (15:3, 15:3, 15:0).

ფრენბურთის საბჭოთა მოყვარულნი მღელვარებით დაელოდებიან წინასწარი შეხვედრების დღეებში ცნობებს ნიტრიდან. სწორედ აქ ითამაშებენ საბჭოთა კავშირის ფრენბურთელები — ოთხჯზის მსოფლიოს ჩემპიონები. მათთან ერთად პირველ ნაბიჯებს მედლებისაკენ ნიტრაში გადადგამენ უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის სპორტსმენები.

საბჭოთა ფრენბურთელებმა შეჯიბრება წარმატებით დაიწყეს — ანგარიშით 3:1 მოუგეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს.

მატჩები მოსკოვსა და კიევში

ბუენოს გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ორმატჩი ფეხბურთში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „ტორპედო“ და დედაქალაქის „დინამო“. მატჩის შედეგია 2:0 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

მოსკოვის „სპარტაკი“ კუბაზე ეწვია და ამ პაექრობა ჰქონდა ოლიმპიურ დერთა ჯგუფის წარმომადგენელი „კოლია სოვეტოვთან“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

რამდენიმე სტრიქონით

◆ **ბუენოს** მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. უკანასკნელისწინა დღეს 300 მეტრზე ცურვაში წარმატებულ ხვდა ერვენელ ხუთჭიდელს ვ. ზასპარინს, რომელმაც ხელი იგდო ლიდერობა. მას არც უკანასკნელ დღეს (მძლეოსნური კროსი) დაუთმია პოზიცია და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

◆ **ბუენოს** ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება — სსრ კავშირის თასის გათამაშება მეოთხედფინალური მატჩი კიევში ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდებს შორის ჩატარდეს 16 სექტემბერს.

▲ **კასაბლანკა.** ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში (ტურნირი მოსკოვს ამ ქალაქში მიმდინარეობდა) შეხვდნენ ცნობილი გუნდები „რეალი“ (მადრიდი) და „ბო